№ 441. ხუთშაბათი, 29 იანვარი 1896—1898 ხუთშაბათი, 29 იანვარი, № 441.

რედაქცია:
ტფილისი, ფრეილინის ქუჩა, № 13.
ხელის მომწერნი გაზეთის დასაკვეთად მიჰმართვენ რედაქციას დილის 10 საათიდან 3 საათამდე ალამოს 6—7 საათამდე და „წერა-კითხვის გ[illegible] საზოგადოების“ წიგნის მაღაზია.
ხელ-მოუწერავ წერილებს რედაქცია არ ჰბეჭდავს
პირისპირ მოლაპარაკება რედაქტორთან შეიძლება ყოველდღე.
ტელეფონი № 363.

ცნობის ფურცელი

ყოველ-დღიური სახალხო გამოცემა

გაზეთის ფასი
ერთის წლით 6 მან., ნახევარ წლით 4 მან
თითო ნომერი 3 კაპეიკი
ფასი განცხადებისა
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე 10 კაპ.
მეოთხეზე 5 კაპ.

Редакція
„Цнобисъ Пурцели“
Тифлисъ, Фрейлинская № 13.
Телефонъ № 363.

ქართული თეატრი

ხუთშაბათს, 29 იანვარს
ქართული დასის არტისტებისაგან წარმოდგენილი იქნება
«შირუტყვთა მფარველ საზოგადოების“ საავადმყოფოს სასარგებლოდ

I

რაც გინახავს ველარ ნახავ

კომედია სამს მოქმედ. თხზ. ა. ცაგარელისა

მოქმედნი პირნი:

თავ. დავით ჯამბარაშვილი, მებატონე		ბ. კანდელაკი
ორომსე, დეიდა დავითისა		ქ. ჩერქეზიშვილისა
არტემ ივანიჩი, ამისი ქმარი		ბ. გედევანოვი
ზაქარია, დავითის მეგობარი		ბ. ადამიძე
ნიკო ყურაშვილი, დავითის მოურავი		ბ. თამაზიშვილი
კატინა, ქვრივი		ქ. ჩერქეზიშვილისა
ტასია, ამის ძმისწული		ქ. გარელი
ილუა, კატინას ვაჟი		ბ. კარბელი
კოხტაია, დავითის მსახური		ბ. დ. მესხი
საქუა, ტასიას საქმრო		ბ. საფაროვი
ავეტიქა	ქალაქის ბიჭები	ბ. აბაშიძე
გიჟუა		ბ. გამყრელიძე
ფიჩხულა		ბ. შათირიშვილი
სოსანა		ბ. მჭედლიშვილი
ლიზა		ქ. გამყრელიძისა
მაგდანა		ქ. რჩეულოვისა
პელუა		ქ. საფაროვისა

II

ატუკანტი მელაძე

2 მოქმ. კომ. თარგ. ივ. მაჩაბელისა, იმერულ კილოზე გადაკ. დ. მესხისაგან

მელაძე	ბ. დ. მესხი
მარინე	ქ. ჩერქეზიშვილი
სარქისა ფირუზიანც	ბ. კანდელაკი
სუდია	ბ. ადამიძე
სოსიკო მეცხვარე	ბ. თამაზიშვილი
მიხაკა	ბ. გვარამაძე
მწერალი	ბ. კარბელი

ადგილების ფასი ჩვეულებრივია
დასაწყისი 8 საათზე. რეჟისორი ძ. მესხი

მინდა ვიყიდო

(12—4)

ცოცხალი

კავკასიის გარეული ცხოველები:
ირმები, ჯეირნები, გარეული თხები, შურთხები, ჯიხვები, გეფხვები, არჩვები, არნები, ფოცხვერები. გარეული გირები, ჯოროხენები და სხვ.
საჭიროა აგრეთვე დიდრონი ირმის რქები.
მსურველთ მიჰმართონ პირადად ან წერილით მიხეილის ქუჩაზე № 106, ეზოში; ბარამოვის სახ.
ჰუგო ვინკლერს
Тифлисъ, Михайловская, № 106, Гуго Винклеру.

გამოვიდა და ისყიდება
წ. კ. გ. საზოგადოების და ქართველთა ამხანაგობის მაღაზიებში

გლეხი-კაცის ისტორია

ერკმან-შატრიანისა
თარგმანი ფრანგულით ივ. მაჭავარიანისა
ნაწილი პირველი: საერო კრება.
ნაწილი მეორე: სამშობლოს განსაცდელი.
ფასი თითო ნაწილისა სამი აბაზი
კარგს ქაღალდზე ხუთმეტი შაური

იქვე ისყიდება ი. მაჭავარიანის თარგმანები:
ბრჭყალები 3 მოქმ. დრამა პოლ ერვიესი. ფასი 30 კაპ.
ივდითი ტრაგედია 5 მოქმ. ჯიაკომეტისა. ფასი 30 კაპ.
ვინც ფას-დადებით გაიწერს არა ნაკლებ ხუთი წიგნისა, მანეთზე 30 კაპ. დაეთმობა. (30—12)

ორშაბათს, 2 თებერვალს,
«ტფილისის საკრებულოს დარბაზში»
გაიმართება

საცეკვაო საღამო

«ქართული დრამატიული საზოგადოების» სასარგებლოდ.
დასაწყისი საღამოს 10 საათზე
ბილეთების ფასი 2 მან. 10 კაპ.

ვაჟებისთვის სავალდებულოა ფრაკი, ან ჩოხა, ხოლო სამხედრო უწყების პირნი უნდა მობრძანდნენ მუნდირში; მანდილოსანთათვის გულამოჭრილი კაბები სავალდებულო არ არის.

ბილეთები ისყიდება ორშაბათამდე საღამოს გამგე-დიასახლისს უგან. კნეინა თამარ გრუზინსკისთან, ხოლო ორშაბათს თვით „საკრებულოს“ დარბაზში. (5—2)

მთავრობისაგან ნება დართული
პანსიონი და სასწავლებელი
მასწავლებელი ქალის
ნ. დიდებულიძისა
ტფილისი, მიხეილის ქუჩა, ხუბატუროვის სახ. № 146.

ღებულობენ ბავშვებს მოსამზადებლად საშუალო სასწავლებლებში.
ბავშვები მიიღება სასწავლებლად და საცხოვრებლადაც.
მიიღება აგრეთვე საქალებო გიმნ. მოწაფენიც სადგომად და საცხოვრებლად.
პანსიონში ასწავლიან მუსიკას (პიანოზე და ვიოლონი)
მოლაპარაკება პირობებზე დილის 10 საათ. 3 საათამდე.

пансіонъ и училище
Учительницы
Н. ДИДЕБУЛИДЗЕ
Тифлисъ, Михайловок. ул. № 146.
Принимаются дѣти женскаго пола приходящ. и полнымъ пансіонерк. Квартиры съ полнымъ содержачніемъ для ученицъ гимназіи. Обученіе музыкѣ
(150—79)

ფოტოგრაფია
ალექსანდრე როინაშვილისა
ყიდულობს
ძველ ნივთებს და საგნებს—რკინისას, თუჯისას, ბრინჯაოსის, ვერცხლისას, ოქროსას, თიხისას, ქვისას, ფაიფურისას, რქისას და ძვლისას.
ხელ-საქმეს ძველებურის ხელობისას და ნაქსოვ-ნაქარგს და სხვა.
სამკაულს სხვა და სხვას ძველ დროინდელს ძველს ფულებს და იარაღებს
მსურველთ მიჰმართონ ყოველ-დღე ერევნის მოედანზე საკუთარს ფოტოგრაფიაში
იქვე შეიძლება
სურათების გადაღება
იაფად, სწრაფად და ხელოვნურად.
Фотографія А. С. Роинова
тамъ-же
Коллекція древностей
Тифлисъ, Эриванская пл. д. Харазовой
(100—20)

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა.
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეების გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი. 11—12 საათ. სადოსტაქარო, ვენერიული (სიფილისი) საშარდეს ავადმყოფობანი.

ე. მ. ჩიქოვანი, 9—10 საათ. სნეულებანი: შინაგანი, თვალისა და ნერვებისა.

ექიმი ქალი რუდენკო $10\frac{1}{2}$—$11\frac{1}{2}$ ს. ბავშვებისა და ქალების ავადმყოფ. და ყურის ყვავილს.

ზ. ი. ბაბანასიანცი. დილის $11\frac{1}{2}$—12 საათ. ქალთა ავადმყოფობათ.

ი. ფ. პროტასევიჩი 12—1 საათ. ყურების, ცხვირის, ყელის და გულის ტკივილებით.

ა. ფ. კარაპეტიანცი. 1—$1\frac{1}{2}$ ს. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფ.

ა. გ. გურკო. დღით $1\frac{1}{2}$—$2\frac{1}{2}$ შინაგანი, ყურის, ყელის და საშარდეს ავადმყოფობით.

საღამოობით

ა. მ. ბუდინოვი. 5—6 საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფ.

ბ. ა. ნავასარდიანცი 6—$6\frac{1}{2}$ ს.

ა. ნ. შპაკოვსკი 6—7 საათ. ნერვების, ვენერიულ და ზედაკანის ავად.

ტ. ი. რუდენკო—სამკურნალოში გამოიკვლევს ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს ნახველს, სისხლს რძეს და სხვ.

რჩევა—დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერატიებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი, დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардіана*
Тифлисъ, противъ памятн. Воронцову.

სამკურნალო და ამბულატორია
ს. გ. თოფურიასი
ქუთაისში.

სამკურნალოში 50 საწოლია ავადმყოფთათვის. მიიღებიან ავადმყოფნი: შინაგანისა, ნერვების, საქირურგო, ოვალისა და დედათა ავადმყოფობისანი.

გადამდებ სენით ავადმყოფნი არ მიიღებიან:

ავადმყოფთ სინჯავენ დილის 11 საათიდგან ნაშუადღევის 3 საათამდე. შინაგან და ნერვების ავადმყოფობას სწამლობს ს. ბ. თოფურია. საქირურგიო ავადმყოფობას და სიფილისს ფ. კ. გერრატი.

დედათა ავადმყოფობას მკურნალი ქალი მ. თ. კობანი.

თვალების ავადმყოფობას—ი. კ. ვარშავსკი.

ამბულატორიაში არის კაბინეტი, საექიმო და საბაქტეოროლოგიო გამოკვლევისათვის, ელექტრონით წამლობისთვის და მასაჟისთვის.

სამკურნალოს დირექტორი ს. ბ თოფურია.
Лѣчебница С. В. Топуріа въ Кутаисѣ.

დეპეშები

გაზეთ „ცნობის ფურცლის“
«რუსეთის სატელეგრაფო სააგენტოსაგან.

27 იანვარი

პეტროზავოდსი. საგუბერნიო ერობის კრებამ დაადგინა აღმოჩენილ ექმნეს გლეხთა საზოგადოებათ დახმარება ცეცხლის-მქრობ მილების სასყიდლად.

პარიჟი. ზოლას პროცესი. პრეზიდენტი იწყებს მოწმეთა გამოძახებას. ლაბორი უარს აცხადებს იმ 7 აფიცერთა გამოძახებაზე, რომლებმაც ესტერჰაზი გაასამართლეს. ამბობენ, მათი სახელები შეცდომით შეუტანიათ სიაში. პრეზიდენტი ჰკითხულობს ზოგიერთ მოწმეთა ბოდიშის მოსახდელ წერილებს, შემდეგ იუსტიციის მინისტრის წერილს, რომელშიაც ნათქვამია: მინისტრთა საბჭომ ბილიოს ნება არ დართო ნაფიც ვექილთა სასამართლოსათვის ჩვენება მიეცაო და კიდევ კაზიმირ პერიეს წერილს, რომელიც აცხადებს: მე მხოლოდ იმ ფაქტების მიხედვით შემიძლია ჩვენების მოცემა, რომლებიც ჩემი პრეზიდენტობის შემდეგ მოხდაო. ლაბორი აცხადებს, ვეცდები სრულიად თავ-დაჭერილად ვიყვე ბილიოსა და კაზიმირ პერიეს შესახებაო. დიუპატი-დე-კლამიკა უარს აცხადებს ჩვენების მიცემაზე. ლაბორი ამბობს, დე-კლამის ჩვენების ჩამორთმევა აუცილებლად საჭიროაო, თორემ იგი მოითხოვს საქმე შემდეგს ინსტანციაში იქმნეს გადატანილიო. პროკურორი ვანკასელი აცხადებს, რომ საქმის გადაწყვეტა სასამართლოსთვის იქმნება დამოკიდებულიო. ლაბორი განმარტავს საქმეს და აცხადებს, მე წინააღმდეგი არ ვიქმნები, თუ საქმის განხილვა კარებ-დახურულ დარბაზში მოხდებაო, და ამასთანავე შენიშნავს, რომ ეს იმის დასამტკიცებლად გამოდგებაო, რომ ბრალდებულს არა სურს საქმე გამოააშკარავოსო. ლაბორი მზად არის მარტო შეუდგეს საქმეს მოწმეთა დაუხმარებლად. თუ ეს არ მოხერხდაო, დრეიფუსი განდევნილი დარჩება იქვე, საცა გაგზავნა იგი მისთვის საგანგებოდ შედგენილმა კანონმაო (ისმის ძლიერი პროტესტები), სასამართლო დაადგენს სხვა-და-სხვა გვარ დასკვნებს მოწმეთა გამოძახების შემდეგაო. ქ-ნი ბულანსი ბოდიშს იხდის წერილით, არ შემიძლია სასამართლოში გამოვცხადდეო. ლაბორი მოითხოვს ბულანის ჩვენება მოწმის ბერტულურის წინ იქმნეს წაკითხულიო, რადგანაც იმ წერილის გარდა, რომელშიაც სიტყვა, „ირემი“ ეწერა, ქ-ნ ბულანს სხვა წერილებიც ჰქონდაო. ვექილი დასძენს ესტერჰაზი ქ-ნ ბულანს დაემუქრა, იცო-

დე, მოგკლავ, როგორც კი ამ წერილებს გამოაქვეყნებ. პრეზიდენტი ჰკითხულობს სხვა მოწმეთა ბოდიშის მოსახდელ წერილებს და, სხვათა შორის, გენერალ მერსიესას. ლაბორი წინააღმდეგობას აცხადებს; ზოლა ამტკიცებს, რომ მერსიემ, დრეიფუსისა და მის დამცველთა გაუგებრად, მსაჯულებს ერთი საიდუმლო, თუმცა ინტერეს მოკლებული, საბუთი მიაწოდაო. თუ ეს ტყუილია, დეე თვით მერსიე გამოცხადდეს ხვალ და განაცხადოს თავისი აზრი ამის შესახებ. რამდენიმე სხვა ოფიცერიც ბოდიშს იხდის, სასამართლოში გამოცხადება არ შეგვიძლიაო. ლაბორი ამბობს: „მე სწორეთ ასე მგონია, რომ ამ ოფიცრებს თავიანთი თავი ისეთ განკერძოებულ წრედ წარმოუდგენიათ, რომელიც არავითარ კანონს არ ექვემდებარება და სრულიად თავისუფალია მართლმსაჯულებისადმი პატივის ცემისაგან». სხდომის შეწყვეტის შემდეგ ლაბორი ჰკითხულობს დასკვნას, რომლითაც მოითხოვს სასამართლომ იძულებულ ჰყოს ეს მოწმები გამოცხადდნენო. სასამართლო იხურება ხვალამდე. სასამართლოდამ გამოსვლის დროს არავითარი უწესოება არა ხდება. სასამართლოს წინ მდგომი ხალხი ნელ-ნელა დაიშალა. როცა ზოლა კარეტაში ჩაჯდა, რამდენიმე ცნობის მოყვარე, რომლებმაც იგი იცნეს, გაჰყვნენ მას რამდენსამე ნაბიჯზე და თან სხვა და სხვა ნაირათ გაჰყვიროდნენ.

◆◆

ახალი ამბავი

⁂ **ქართული წარმოდგენა.** დღეს სათავად-აზნაურო თეატრში დანიშნულია საქველ მოქმედო წარმოდგენა „პირუტყვთა მფარველ საზოგადოების“ სასარგებლოდ. წარმოდგენილი იქნება «რაც გინახავს, ველარ ნახავ!» და «ადვოკატი მელაძე». როგორც ამბობენ, ამ წარმოდგენას დიდ-ძალი ხალხი უნდა დაესწროს.

⁂ **ცხენის რკინის გზა ავლაბარში.** ავლაბრელებმა, თურმე, თხოვნა უნდა მისცენ ქალაქის საბჭოს, რომ გამგეობამ «ცხენუკა», (თედო სახოკიას ლექსიკონში ასეა) ესე იგი ცხენის რკინის გზა გაიყვანონ და თუ საბჭოს შეძლება არა აქვს, თვითონ ჩვენ ავლაბრელები ვიკისრებთ საჭირო ხარჯსაო.

⁂ **გამოძიების დანიშვნა შაქრიანში.** «ნოვ. ობოზ.» იუწყება, რომ გუბერნატორს საგანგებო საქმეთა მოხელე გაუგზავნია სოფელ შაქრიანში ადგილობრივ გამოსაძიებლად იმ დავისა, რომელიც გლეხებს და ხაზინას მოუვიდათ ამას წინედ მიწების გამო.

⁂ **სასტიკი ბრძანება.** რკინის გზის მმართველობას სასტიკი ბრძანება გაუცია, რომ დღეიდან არ მიჰყიდონ ხოლმე კერძო პირებს ხორაგი და სხვა რკინის გზის მოძრავ დუქნებიდანაო.

⁂ **რკინის გზის ტელეგრაფის მოხელეთა მომატება.** გზათა სამინისტროს ბრძანებით ამიერ-კავკასიის რკინის გზაზედ უნდა მოემატოს ტელეგრაფის მოხელეთა შტატი შესამჩნევლად, ე. ი. სად. ჩაჩვიდამ ყოველივე შტოებზედ სად. ქიშლამდე თითო კაცი ყოველივე სადგურზედ, გარდა სად. ბათომისა, ქობულეთის, რიონის, ქუთაისის, ყვირილის, ჭიათურის, ხაშურის, გორის, ქსანის, ტფილისის, ყარაიასის, აღსტაფის, დზეგამის, განჯის, ევლახის, უჯარის, კურდამირის, აჯიქაბულის, ალიტის, პუტასი და ბაქოსი. ამ სადგურებზედ მომატებულ იქმნება, როგორც საჭიროება მოითხოვს.

⁂ **შეწირულობა წერა-კითხვის საზოგადოებას.** წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების მუზეუმისათვის შემოსწირეს: 1) იასონ დავითის ძე ციციშვილმა—1 ბეჭედი თითბრისა, 5 ნაჭერი მადნის ქვა და ძველი ფულები: 2 ვერცხლისა და 1 ქაღალდისა (რუსულები), 10 სპილენძისა (ქართული, რუსული, ოსმალური და ევროპიული) და 1 ნიკელისა (გერმანული). 2) ბ-ნმა ოგბაიძემ—ფურცლები მეტად ძველის ხუცურის ხელთ-ნაწერის სახარებისა მეცხრე ან მეათე საუკუნისა. 3) ალექსი მისკონოვმა—კატეხიზმი ანტონ კათოლიკოზისა, დაწერილი მხედრულად 1799 წელსა. 4) მიხეილ ზედგინიძემ—სამი ძველი დოკუმენტი. საზოგადოების გამგეობა დიდს მადლობას უძღვნის შემომწირველთ.

⁂ **ახალი მოდის ქუჩის დონ-კიხოტები.** მთაწმიდაში, მეორე ხევის ქუჩაზე, რომ სამწუხარო და სავალალო ამბები ხდება, სხვაგან წარმოსადგენათაც-კი ძნელია! რით გნებავთ, რომ აქაურები მეტის-მეტი შეწუხებულნი დაკლებულნი არ ვიყვეთ!.. აქ გაჩნდა ახალ მოდის „დონ-კიხოტთა“ „შაიკა“, რომლის წყალობით მთელი უბნის მცხოვრებნი შეშფოთებულ-შეზარებულია. ამას წინათ ვიღაცას ამათი მოკლე მოქმედება გაზეთში გამოუცხადებია და ამიტომ ამ ბიჭ-ბუჭების კრებულს პირი შეუკრავთ, ხმლები უშოვიათ და ღამე გამვლელ-გამომვლელს ამოღებულის ხმლით აჩერებენ: „ო—ძე, ხომ არა ხარ შენ, რომ „საბალნიცოთ“ გაგიხდოთ საქმე“, და სხ... ბევრს გამვლელთაგანს ამ გვარის სულელობისათვის ჩხუბიც მოუვიდათ ამ ღამის წუწკებთან, მაგრამ მაინც პოლიციელი უყურადღებოთ ეპყრობა საზოგადო მყუდროების დაცვას! რას ბძანებთ, რის მყუდროება; ეს პოლიციელნი, ამ «დონ-კიხოტების» მომხრენი უფრო არიან, რადგანაც მათგან ხშირათ «ნაოტკის» და რამდენიმე ჭიქა ნუნუას მიიძღვნიან ხოლმე.

ეს წვრიმალი დონკიხოტთა კრებული ხმლების ფრიალით ყინულებს, ალაყაფის კარებს, ფანჯრებს და ეზოების ფიცრულებს შეუბრალებლათ სჩეხენ, რა არის დაინახეთ: ჩვენი ძლიერება, ჩვენი გმირთა-გმირობაო, გვიფრთხილდით, თორემ ვაი თქვენი ბრალიო!

ასე და ამ გვარათ ჩვენის ქალაქის მამებისაგან კურთხეულს ქუჩაზე (იმ ქუჩაზე, რომელიც სავსეა მკვდარი კატებით, ძაღლებით და ნაგვით) ამ ხსენებულ გმირთა გმირებისაგანაც არის განუწყვეტელი საშინელი ყვირილი, რევოლვერების სროლა, მათებური უხამსი სიმღერების ღრიალი და გარყვნილი, უწმაწური ლექსებით ღრიალი. თითქმის ნახევარი ამ ბიჭბუჭებისა უსაქმური და უქმათ მოხეტიალეა, მაგრამ მაინც ყოველ საღამობით გამზადებულნი გამოვლენ გალეშილნი და დამთვრალნი მცხოვრებთა შესაზარებლათ და ალიაქოთის მოსახდენათ; ანგრევენ ყველაფერს, აწუხებენ აქაურობას, რასაც კალამი ვერ ასწერს და ვერც ლიტერატურული ზრდილობა დაინდობს!..

ამათი გუდაფშუკური მუქარა-ქადილისა მართლა შიში აქვთ ზოგიერთ აქაურ ოჯახებს და ნამეტნავათ ქალებს, რომლებსაც სჯერათ ამ ნაცარ-ქექიების ვითომდა ძლიერება; ბევრი ჩიტირეკია ქალები მოატყუეს ამ უსუსურ-უგვან „ტარიელებმა“ შემდეგის ბაქი-ბუქობით: „ოჰ! შენ კი... გენა...ცვა...ლე შით სულშით... ჩვენია ქვეყანა, ჩვენი! ახალი ყარამანები ვართ, მთლათ ავიკლებთ აქაურობას, ეინ რას გაბედავს გაზეთშიაც კი მიაჩხრიკეს მარა... ამდენი ხანია ვანგრევთ აქაურობას და არავის რა გაუბედავს... ეეე ვინ არის, მოვიდეს რაღა... და ამასთანავე წათამამებული დონკიხოტი ხანჯალს ჩამოჰკრავს ხოლმე თუნუქის მილს. შენც, ჩემო სულის კოლოფო ჩემი დაიჯერე, თორემ მოგისევ ჩემს ჯარს და ერთიანათ მივლეწ-მოვლეწ შენსას ყველაფერს; შენს ძმას, დედას, მამას, ყველას სულს ამოვაძრობ ცემითა... და ანკი შენ და შენისთანები სადღა გამეგქცევით. მიწას ზევით ან მოგკლავთ და ან...

სუსტი ხასიეთი და ნიხევრათ გაფუჭებული ქალები მართლა ხდება ამათი მსხვერპლი, რომელთა შემწეობით შემდეგ სხვა ქალებს ათახსირებენ; მათთან ლოთობენ, ლხინობენ, როდესაც ზოგს ქუდი და ფეხსაცმელი არა აქვს. ასეთი სიწამხდრე თან და თან ძლიერდება აქეთკენ, ღრმათ ფეხს იდგამს! დღე დღე მატულობს ამ გვარ რაინდთა „შიკები“; სამწუხაროთ თანამგრძნობლებსაც ბევრს შოულობენ; ამას ვიღა იჩივლებდა, რომ მათის მოწყალებით ქალებს ცუდი ზნე არ მიეღოთ. გაიგებენ თუ არა მათს ღრიანცელს, მაშინვე ფანჯარას ეტაკებიან აქაური ქალები გასაჭვრეტათ დი ამ გვარათ ამ დღეებში ერთს ბარიშნა არშიყს ერთი საარაკო საქმე დაემართა: ერთბაშათ თავი ვერ შეიმაგრა და ცხვირით შუშა კი გაანჩხვრია, ამბობენ ცხვირი დაჭრილი აქვსო.

შეიძლება ამ სამწუხარო მოვლენის ბრალია რომ აქეთ ძრიელ გახშირდა ქურდობა. ღამით კი არა, დღით იკარგება აქეთ ყველაფერი. 26 იანვარს, საღამო ხანზედ ერთს მოჰპარეს ქვაბი. ისე ხშირათ იკარგება ხალიჩები, სარეცხები და სხ. ასე რომ ჩვენ მთაწმინდაში ცხოვრება შეუძლებელი მწუხარება, აუტანელი ტანჯვაა; სიტყვა ძნელათ გამოხატავს ჩვენს გაჭირვებას.

დიდ სამწუხარო-საკვეშნოთ უნდა ჩაითვალოს ეს გარემოება, რომ ჩვენს დედა ქალაქში, სადაც გონებრივ მოძრაობას და ადამიანობას შესამჩნევი და წასაბაძავი ადგილი უნდა ეჭიროს ისეთი გასაბრაზებელი ამბები ხდება. ღმერთმა შეინახოს აქაური ახალმოდის ქალები, რომლების გონება-ზნეობაზე ნუღარაფერს იკითხავთ!.. ბევრს, ვიცი ეწყინება ეს ჩემი პირუთვნელი შენიშვნა, მაგრამ მარტო წყენით ზარალის მეტი არა გამოვა რა; თუ ლანძღვა ეთაკილებათ გასწორებაა საჭირო!..

რომ გგონიათ ის არა ვარ

⁂ **მადლობის გამოცხადება.** უგულითადესს მადლობას ვუცხადებ მამათის სამრევლო სკოლის მზრუნველს ექვთიმე ივ. ხელაძეს, ბ. ი. გოგებაშვილს და დიომიდე ანტ. კილაძეს, რომელთაგან პირველმა მამათის სკოლასთან დაარსებულს წიგნთ-საცავ-სამკითხველოს შემოსწირა ალბომი ქართველთა ტომისა ოცდა ათი ცალი, სხვა და სხვა ქართული წიგნები და ორმოცი ცალი განსვენებულის იმერეთის ეპისკოპოსის გაბრიელის სურათი, რომელიც დაურიგდა სამრევლო სკოლის მოსწავლეებს. მეორემ ათი ცალი დედა-ენა და რუსკოე სლოვო. და მესამე ი. ყაზბეგის თხზულებანი ოთხი ტომი. პირველმა აღუთქვა ყოველ წლიურად ოც-ოცი მანათიც ფულით, ან ნივთიერათ შემწეობა ხსენებული სკოლის სასარგებლოთ. ვსთხოვ ყველა იმ პირებს, რომელნიც მიისწრაფვიან ამისთანა კეთილის საქმისადმი, განსაკუთრებით იმ ახალგაზდობას, რომელნიც არიან საცხოვრებლად წასულნი სხვა-და-სხვა ქალაქებში და დაბებში. ნუ დაივიწყებენ თავიანთს მშობელსა და აღმზრდელს პატარა სოფელს მამათს და ხელი შეუწყონ ახლად დაარსებულს, ჯერ კიდევ ნორჩ და ფეხ-აუდგმელ მამათის წიგნთ-საცავ-სამკითხველოს და მით განმახორციელებიონ ჩემი თითქმის დიდი ხნიდგან სურვილი და მისწრაფება აღმოიჩინონ დახმარება.

სამკითხველოს გამგე მღვდელი კალისტრატე ხელაძე

⁂ **ქ. ქუთაისი. სკოლის კურთხევა.** დღეს, 25 იანვარს, მათმა უსამღვდელოესობამ იმერეთის ეპარქიის მმართველმა ალავერდის ეპისკოპოზმა ბესარიონმა სწირა ქ. ქუთაისის ახლად აშენებულ მიხაილ მთავარ ანგელოზის სასაფლაოს ეკკლესიაში. შემდეგ წირვისა მათმა უსამღვდელოესობამ აკურთხა მოხსენებულ ეკკლესიისა სამრევლო სკოლა, რომელიც ეკკლესიისავე გალავანშია აღშენებული. შემდეგ კურთხევისა ადგილობრივმა მღვდელმა მ. ვასილ ღოღობერიძემ ღმობიერი სიტყვა წარმოსთქვა, რომლითაც ხალხს გარკვევით აუხსნა სკოლის და მის კურთხევის მნიშვნელობა. ხალხი, როგორც წირვაზედ ეგრეთვე კურთხევაზედაც დიდ-ძალი დაესწრო...

მსურველნი ვართ ღმერთმა კეთილ ნაყოფიერი ჰქნას ჩვენი სკოლა, რომელიც ძლივს ძლივობით ეღირსა დღევანდელ დღესა.

მრევლთაგანი ერმ. გოგავა

⁂ **პეტროვსკი,** (დაღისტანი) **მუშათა დამხმარე წრე.** ვინც „ცნობის ფურცლის“ № 412-ში საბრალო გლეხის სისაურის სიცივე-შიმშილით სიკვდილის ამბავს ამოიკითხავდა, ქვის გული რომ ჰქონოდა, მაინც-კი დაეთუთქებოდა.

განა ისე დავეცით, რომ გაჭირვებულ ხმას ხელი ვერ გაუწოდეთ, ვერ დავეხმარეთ?! საცოდავი სისაური ხომ პატიოსანი მუშაკი იყო!..

ჩვენის ფიქრით, ურიგო არ იქნება, ბ. უჩინარის*) არ იყოს თბილისში ახლად ჩამოსულ მუშებს ვინმემ მფარველობა გაუწიოს. თბილისში „მოსამსახურეთა ამხანაგობის“ დაარსების საქმემ როგორღაც მიიძინა. ახლა განცალკევებით მუშათა დამხმარე წრეც რომ დაარსდეს, ვაი თუ ამასაც იგივ დღე დაადგეს და ამიტომ ჩემის აზრით უმჯობესი იქნება „მოსამსახურეთა ამხანაგობამ“ გამოიღვიძოს და მანვე იკისროს მუშათა გაძღოლაც; მუშებიც ხომ მოსამსახურეთა ძმანი არიან და არც მუქთა ხორად აეკიდებიან ამხანაგობას, რადგანაც მუშათა სამუშაო სარბიელი მოსამსახურეებისაზე უფრო ფართო თუ არა, ვიწრო არ არის. რა საქმეში და ან სად არ არიან მუშები საჭირონი?! მხოლოდ სამუშაოს შოვნამდის ორიოდ დღე ცოტა რამ დახმარება აღმოუჩინეთ!!

ნუ მოვყვებით ახალ-ახალი ამხანაგობების დაარსებასა, დამერწმუნეთ „ბევრის მდომნი ცოტასაც დავკარგამთ!“ ჩვენ მოუნდებით მხოლოდ პროექტების შედგენა-შესწორებასა, სჯა-ბაასებსა და ხელთ კი უბრალოდ დროს დაკარგვა შეგვრჩება!

აქ, ამ საჭირ-ბოროტო საგნის შესახებ რამდენსამე ქართველს უკვე მოლაპარაკება გვქონდა. თუ საქმე სასურველათ დატრიალდება და რამ წამალს დასდებენ. ჩვენ მუშათა დღევანდელ გაჭირვებას, ჩვენ მზათ ვართ ამ საქმის მოთავეებს გამოვუგზავნოთ 10 მანეთი. სხვებიც მოგვბაძენ, იმედია.

— **დაგვიანებული გამოცხადება.**
ბატონო რედაქტორო!

შარშან „საახალწლო მილოცვის მაგიერათ“ შეკრებილი ფულიდგან ჩვენ გამოვუგზავნეთ „ახალს მკითხველს“ ათი მანეთი. თუმცა დაგვიანებული კია, მაგრამ მაინც გთხოვთ შემომწირველთა ნუსხა დაჰბეჭდოთ და მითი აგვაცდინოთ ზოგიერთა პირების ეჭვებსა. აი ნუსხა შემომწირველთა:

გიორგი კოლოშვილი	3 მანეთი.
დავით მანჯიგელაძე . . .	2—„
ფირმა «ანკარა»	2—„
ნიკო მამადაშვილი . . .	1—„
მღ. ივანე შანავაძე . . .	1—„
ივანე კურდღელაშვილი . .	1—„
შალვა თოიძე . . .	„—30
სულ	10 მ. 30 კ.

30 კ. ფულის გამოგზავნაზედ დაიხარჯა.

გიგო თოიძე

⁂ **სად. უდჯარა. ამინდები.** დაჰკრა პირველმა იანვარმა 98 წლისამ და თან მოჰყვა გაზაფხულის სუნი. ამ დღიდან იმ გვარად გრილა აქ, როგორც ზაფხულის პირში დასავლეთ საქართველოსკენ. გვენატრება წვიმა, თოვლი და ან ცოტა სიგრილე. აქ ჯერ თოვლი არ ყოფილა, მხოლოდ წარსული წლის დეკემბრის ოცში ცოტა წამოფერფლა და რამდენისამე წამის განმავლობაში ისევ აიღო. აქაური დარები და სიცხე ეხლავე გვიქადის ზაფხულის პაპანაქებას, როდესაც აირევა კოღოები ცერის სისხო, ფალანგები და მორიელები. აქ ზაფხულო-

---

*) იხ. «ცნ. ფურ.» № 416 «ფრიად საჭირო წრე».

ბით დედამიწა გვაჯილდოვებს ამ ცხოველთა შეწუხებით დღე და ღამ და ცა მეტის-მეტის სიცხითა და პაპანაქებით, რაც სულს უხუთავს ადამიანს და მკაფიოდ გვისურათებს საქაო ჯოჯოხეთს...

ბნელი კალამი

⁂ **ახალ-სენაკი. ყვავილის გაჩენა.** ამ დღეებში თავი ამოჰყო აქ ყვავილმა. ჯერ დაბის „დესეტნიკს" დაემართა და, როგორც ამბობენ, ძალიან მაგრად მოუკიდნია ხელი ავადმყოფობას. ვინ იცის, კიდევ რამდენს არ დაემართება, ამიტომ სასურველია დროით მიიღონ რაიმე საშუალება, რადგანაც ეხლავე ყოველივე ღონე შესაძლებელია, თორემ მერე გვიან-ღა იქნება. ყვავილი გაჩენილია აგრეთვე ახალ-სენაკის ახლო-მახლო სოფლებში, მაგრამ სოფლად-კი, ღვთის იმედით, ზარალს არ იძლევა

ჯოჯოხეთის მამხალა

⁂ **ზემო-ქართლი. ჩარჩ-წურბელების ოინები.** თუმცა ზემო ქართლი ბუნებით ძალიან მდიდარია, მაგრამ მცხოვრებთა ნივთიერი მდგომარეობა ვერაფერი სანატრელია. მათი სარჩო-საბადებელი დღითი-დღე ჩარჩ-წურბელების ხელში გადადის. აქ ხშირათ შეხვდებით ასეთ ფაქტებს. ერთ აქაურ გლეხს საქმე ჰქონდა აღებული ერთ პოლოსასაგან ორმოცდაათ მანეთად (თუმცა იმავე საქმეს სხვა ორას მანეთადაც არ იკისრებდა). გლეხმა მოიმზადა ყოველგვარი საჭირო მასალა და შეუდგა საქმის კეთებას. მაგრამ იმ დროს თვით პოლოსამ იგი იძულებული გახადა საქმე შეეჩერებინა. გლეხი ბევრს ეხვეწა, საქმეს ნუ შემაწყვეტინებო, მაგრამ პოლოსამ ყურადღებაც არ აღირსა მას. ამასობაში მოდიდდა წყალი, რომლის პირადაც გლეხს დამზადებული მასალა ეწყო, და ერთბაშათ ჩანთქა საცოდავი გლეხის ნაწვავ-ნადაგი. პოლოსაც სწორეთ ასეთ მარჯვე შემთხვევას უცდიდა. მას გლეხისაგან პირობა ჰქონდა ჩამორთმეული, თუ ვინიცობაა საქმე ვერ შეასრულე, 200 მან. უნდა გადამიხადოო. და აი როგორც კი საბრალო გლეხს დამზადებული მასალა წყალმა წაართვა, მსწრაფლვე პოლოსამ სასამართლოში საჩივარი შეიტანა და სასამართლომაც გლეხს 200 მან. გადახდა მიუსაჯა პოლოსას სასარგებლოდ. ამ საქმის მოგება პოლოსას განსაკუთრებით ცრუ მოწმებმა გაუადვილეს. საზოგადოდ უნდა ვთქვათ, რომ ჩარჩ-წურბელებს ასეთი მოწმების შოვნა არასოდეს არ უჭირთ. საკმარისია, მათ აქაურ გლეხს ერთი ორმანეთიანი ჩოხა აჩუქონ, რომ იგი სასამართლოში იმაზე აალაპარაკონ, რაზედაც უნდათ.

⁂ **ახალ-სენაკი. ახალი საეკლესიო სამრევლო საქალებო სკოლის დაარსება.** ჩვენდა სასიხარულოდ და საბედნიეროდ, ჩვენსკენ სწავლა-განათლება თან-და-თან ვრცელდება. ყველამ კარგად შეიგნო, რომ ჩვენის ცხოვრებისათვის ერთს უმთავრესს და უცილებელს საჭიროებას შეადგენს სწავლა-განათლება, რომლისთვის ჩვენი ბეჩავი და ბუნებისაგან ჩაგრული ხალხიც თავის წვლილს სიამოვნებით იღებს, ოღონდ კი თავისი შვილი უსწავლელი არ გამოვიდეს. ისიც კარგად შეიგნო ხალხმა, რომ ბავშვების გარდა, ქალებისთვისაც საჭიროა ერთი ორიოდე ანბანის სწავლება. მაგრამ სად იყო ისეთი სასწავლებელი, რომ ყოველი მათი ნატვრა აღსრულებულიყო. ახლა კი მათი ნატვრა დიდი ხნისა, უკვე აღსრულდა, რომელსაც სიამოვნებით აღვნიშნავ და ვისწრაფი, რათა გაუწყოთ. ამ დღეებში, ე. ი. 11 იანვარს, ახალ-სენაკში დაარსდა გურია-სამეგრელოს საეპარქიო საბჭოს სენაკის მაზრის განყოფილების თავმჯდომარის ბლაღოჩინ მღ. არისტარხოს კალანდარიშვილის და სამეგრელოს სასულიერო „სასწავლებლის მასწავ. ბ-ნ სტეფანე შ. ძიმისტარიშვილის და ამავე განყოფილების წევრის, განსაკუთრებით სენაკის მაზრის უფროსის თანაშემწის ბ-ნი ივ. ლაზარენკოს დახმარებით სამრევლო საეკლესიო სკოლა. 11 იანვარს აკურთხა ახლად დაარსებულ სკოლისათვის დროებით ნაქირავები სახლი თვით ბლაღ. მ. არისტარ. კალანდარიშვილმა საბჭოს განყოფილების წევრის მღ. ვლად. ელიავას და სხვა სამღვდელოებთან ერთად. სკოლის კურთხევას დაესწრნენ საეპარქიო საბჭოს წევრნი ბ-ნი დ. ი. ალადაშვილი და ყველა წევრნი, სამეგრელოს სასულიერო სასწავლებლის მასწავლებელნი და ახალ-სენაკის ახლო-მახლო მცხოვრებთა გარდა, თვით დაბის მცხოვრებნი ქალი და კაცი. ასე რომ სკოლის დარბაზი გაჭედილიყო ხალხითა, რომლებსაც სიამოვნების ღიმი აჩნდათ სახეზე. სკოლის კურთხევის დროს ჰგალობდა სამეგრელოს სასულიერო სასწავლებლის მოსწავლეთა გუნდი ბ. ვალერიან გეგეჭკორის ლოტბარობით. შემდეგ კურთხევისა ბლაღ. არ. ვა-ლმა წარმოსთქვა გარემოების შესაფერი მოკლე სიტყვა, რომელშიაც დამსწრე საზოგადოებას აუწყა ახალის სკოლის დაარსების მნიშვნელობა. სწავლის მსურველთა რიცხვი ამავე დღეს თითქმის 50-მდე იყო და, რა თქმა უნდა, რომ ეს რიცხვი თან-და-თან აიწევს. მით უფრო, რადგანაც წლიური სწავლის ფული ერთობ პატარაა და ქველ-მოქმედი პირებიც შემწეობას პირდებიან. მაგრამ უბედურებაც ისიც არის, რომ უადგილობისა გამო იძულებულნი არიან 50-მდე მეტი არ მიიღონ. რის გამოც, ზოგიერთები ვერ აღწევენ თავიანთი სურვილის განხორციელებას. ამიტომ კარგი იქნება და სამადლო საქმეც, რომ მოთავეებმა კარგს მარილიც მოაყარონ და, რადგანაც ასე მათ სასახელოდ მოსწავლეთა რიცხვი ემატებათ, პარალელური განყოფილება გახსნან და მით დააკმაყოფილონ მთხოვნელები. მით უმეტეს, რომ ჯერ-ჯერობით მთელის სენაკის მაზრაში არ არის ისეთი საიმედო ნიადაგზე დამყარებული საქალებო სასწავლებელი, რომელიც ხალხის სრულს მოთხოვნილებას ცოტათი მაინც, ე. ი. პირველ-დაწყებითი სწავლით აკმაყოფილებდეს. ამიტომ რასაკვირველია, მთელს მაზრაში ეს სასწავლებელი ოდნავ მაინც სწავლის შუქს მოჰფენს. ჩვენც მეტი რაღა დაგვრჩენია, რომ ამ ახლად დაარსებულს სკოლას სულით და გულით უსურვოთ ზრდა და წარმატება სასარგებლოდ იმათთვის, ვისთვისაც დაარსებულია იგი. მასწავლებლად დანიშნულია და კიდეც ასწავლის ახლა, ქუთაისის საქალებო გიმნაზიაში კურს დასრულებული ქ-ნი ანასტასია ვას. ლომინაძის ასული. საღმთო სჯულის სწავლება იკისრა თვით ბლაღ. არ. კალანდარიშვილმა, ქართული ენისა, სამეგრელოს სასულიერო სასწავლებლის მოს. სტეფანე ძიმისტარაშვილმა უსასყიდლოდ, ქართული გალობისა ამავე სასწავ. მასწავ. დ. ჭალაკანიძემ, რუსულისა ამავე სასწავ. მასწავ. ვალერ. გეგეჭკორმა ხოლო სამეურნეო ნაწილისა, სამეგ. სასულ. სასწავ. მასწავ. იპირ. მატარაძემ. ერთის სიტყვით, ასეა ყოველივე საგნები დარიგებული, რომ ეჭვი არ არის, ახლად დაარსებული სასწავლებლის ბედ-იღბალი კარგად წავა და ჩვენც უსურვოთ მოთავეებს, რომ საქმე კარგათ წაეყვანოთ მათ სასახელოთ და ჩვენ საკეთილოდ...

სკოლის კურთხევის დღეს, სხვათა შორის მოსწავლეებისთვის დასარიგებლათ სამეგრელოს სასულიერო სასწავლებლის მასწავლებელთ მღ. ელიავამ, ნიკ. თუთბერიძემ და ტროფ. ჯოხთაბერიძემ და სამაზრო სამარ. მოხელემ პეტ. მაღნარაძემ შემოსწირეს საკმაო რიცხვი ქართულ-რუსულ რვეულებისა, კალმებისა და კალმის ტარისა, ყარანდაშები და სხ. რომელიც ჯვრებთან ერთად დაურიგდათ მოსწავლეებს. გარდა ამისა ბ-ნმა ირაკლი ა. კალანდარაშვილმა იკისრა ერთი ღარიბი მოსწავლის თავისი ხარჯით აღზრდა... ამ ახალი სასწავლებლის დაარსებამ საერთოდ დიდი სიხარული გამოიწვია ხალხში, იმიტომ, რომ, რადგანაც ჯერ ერთი ისა, სწავლის ფასი ერთობ მცირედია, მეორეც ქართული ენის სწავლებასაც გზა ექმნება და კარგად წავა, რადგანაც მასწავლებლობა ამავე საგნისა ნაკისრი აქვს ბ. თეფ. ძიმისტარაშვილს.

ტრიფონ კალანდარაშვილი

⁂ **ს. ნატოჩაო,** (სამეგრელო) **მადლობა შემოწირულობისათვის.** ბ. რედაქტორო! ნება მიბოძეთ თქვენის გაზეთის საშუალებით ჩემი და ჩემის მოწაფეების მაგიერ მადლობა გამოუცხადო ახალ-სენაკის მცხოვრებს ბ. რომანოზ ქაჯაიას, რომელმაც სოფ. ნატოჩაოში ახლად დაარსებულს ღარიბ სამრევლო სკოლას შემოსწირა მოწაფეთათვის შეღებილი სტოლი. იმედია ამ საქმეს სხვებიც მიბაძავენ, და სხვა-და-სხვა შემწეობას არ მოგვაკლებენ, რადგანაც ხსენებული სკოლა მატერიალური მხრით ჯერჯერობით ერთობ ღარიბია, სადაც უმეტესად ღარიბი და ობოლი ბავშვები იზრდებიან.

⁂ **ს. სეფიათი** (სამეგრელო). **ცუდი ამინდების შედეგი.** ამას წინად გწერდით, თუ როგორ შეაწუხა ხალხი დიდმა თოვლმა და ყინვებმა. იანვრის შუა რიცხვებში ბუნებამ პირზე პირი მოგვიმატა და კვლავ გვეწვია დიდი თოვლი, რომელმაც დიდი ზარალი მოუტანა ხალხს. სასიმინდეებიც კი წააქცია. სოფლიდან-სოფლამდინ მიმოსვლა მეტად ძნელია, რადგანაც გზებზე დიდი თოვლი ძევს. არ ვიცით, ველირსებით თუ არა მწვანე მინდორ-ველის ნახვას ოდესმე... კისერამ ახლა იკლო და ზარალსაც არ იძლევა.

⁂ **ახალ-სენაკი. გვედირსა მზიანი ამინდები.** შუა იანვარში კიდევ გვეწვია სულთა-მხუთავი დიდი თოვლი, მაგრამ თან-და-თან გვშორდება, დნება. 21 იანვრიდგან ამინდებმა პირი იცვალეს. ასე რომ მზეს გვარიანი სითბო აქვს. სოფლიდან-სოფლად გზები იხსნება თოვლისაგან შეკრული. სურსათ-სანოვაგეც ცოტ-ცოტა მოაქვთ სოფლელებსა და გვარიანი იაფიც არის. შეშამ, რომელმაც ყველაზე უფრო გააჭირა საქმე, ცოტა გაიაფდა. ჩვენ არ გვახსოვს ოდესმე შეშის ამ გვარ სიძვირე. ყოველგან შეშის უქონლობაზე იყო ჩივილი, მაგრამ აწი მაინც ყველას ეშოვება სასყიდლად.

აქაურმა ადმინისტრაციამ ერთი ყველასათვის სასარგებლო წესდება შემოიღო: სოფლიდამ შემოტანილი სანოვაგის ყიდვა. 12 საათამდინ ნება არა აქვს მედუქნეებს ყიდვისა. ასე, რომ დილიდამ 12 საათამდი ყიდულობენ მცხოვრებნი და შემდეგ მედუქნეები. ეს განკარგულება სწორედ კარგია მცხოვრებლებთათვის, რადგანაც მედუქნეები იტაცებდნენ და შემდეგ ერთს სამად ყიდნენ. ასეთი კეთილი განკარგულება ადმინისტრაციისა კარგია, მაგრამ ვინ აასრულებს? დღესაც იტაცებენ მედუქნეები და შემდეგ ერთს სამად ჰყიდიან. საჭიროა ყურადღებას მიაქცევდნენ.

ტელეფონი

შემოწირულება

ქართვ. სტუდენტების სასარგებლოდ

ჩვენ მივიღეთ პეტერბურგის სტუდ. სასარგებლოდ:

№№-ისაგან . . . . . 15 მ.

სულ 15 მან.

წინანდელი იყო (იხ. „ცნ. ფურც". № 440) 224 მ. 45 კ.

სულ შემოსულია 239 მ. 45 კ.

მათ შორის:

ოდესის სტუდენტ. თანხა	75 მ. 00
პეტერბურგის — —	50 მ. 45
მოსკოვისა — — —	18 მ. 00
ტომსკისა — — —	20 მ. 00
კიევისა — — —	20 მ. 00
ხარკოვისა — — —	18 მ. 00
ყაზანისა — — —	18 მ. 00
იურიევისა (დორპატისა)	20 მ. 00

რედაქცია ღებულობს ყოველგვარ წვლილს სხვა-და-სხვა უნივერსიტეტის ქართველ სტუდენტების სასარგებლოდ. მსურველთ შეუძლიანთ შემოწირულება ფოსტის მარკებითაც გამოგზავნონ. შემომწირველთა სია ყოველთვის დაიბეჭდება. შემოწირულება მიიღება ერთი კაპიკიდან მოყოლებული.

ვალერ. გუნია.

სამეცნიერო ცნობა

მზე*)

მზის შეხედულობა.—ჩვეულებრივ როგორა სჩანან შორიდამ საგნები.—რამდენით ჰშორავს მზე დედამიწას.—რამოდენაა მზე.—მზის ხალები.—რისგან შესდგება მზე: გაუქრობელი ალი და ვულკანები.

კამკამა მოწმენდილს დღეში მზე ისეთ ნაირად იკბინება, რომ თვალის გაშტერება არ შეიძლება; ღრუბლიან დღეს-კი, ან კიდევ ჩასვლის დროს, პირიქით, თავისუფლად შეგიძლიანთ უცქიროთ და კარგადაც დაუკვირდეთ. პირველს შეხედვაზედ ბრტყელ, რგვალ რაღმე გეჩვენებათ, მაგალითად, როგორიც ფულია. მაგრამ დაკვირვება-გამოკვლევა სულ სხვას გვეუბნება—მზე ისეთივე რგვალია, როგორც ჩვენი დედა-მიწა.

მაგრამ რამ სიმრგვალეა! რამოდენა რამ უნდა იყოს ეს უზარმაზარი გახურებული ბურთი! თქვენ იტყვით: მზე ჩვენს თვალს მაგდენად დიდად არ ეჩვენებაო. იგი თითქმის იმოდენავე გვეჩვენება, როგორაც მთვარე. თუ მზე მართლა ძალზედ დიდია, რატომ დიდად არ გვეჩვენება იგი? ეს იმიტომა ჰხდება, რომ მზე ძალზე შორს არის ჩვენზე.

არ შეგიმჩნევიათ, რა ნაირ პატარად გვეჩვენება საგნები, თუ შორიდამ ვუცქერით? მაგალითად, თქვენ წინა სდევს წიგნი, მაგრამ აბა გაშორდით რამდენსამე მანძილზე, რა პატარად გეჩვენოთ! შორს მიმავალი კაცი ჭიანჭველის ოდენად მოსჩანს. ერთის სიტყვით, რამდენადაც შორს არის საგანი, იმდენად უფრო პატარად გვეჩვენება. ესევე უნდა ითქვას მზეზედაც. მერე იცით, რა ზღაპრულ სიშორეზეა ჩვენგან მზე? 140 მილიონ ვერსითა გვშორავს! ჩვენი დედამიწა მზის ირგვლივ შემოვლის დროს ხან უახლოვდება მას და ხან-კი ჰშორდება. 140 მილიონი ვერსი! შეგიძლიანთ, ცოტად მაინც არის, წარმოდგენა იქონიოთ ამოდენა გაუთავებელ სიშორეზედ! ჯერ ერთი მილიონი ვერსი რა არის და ახლა 140 მილიონი რაღა უნდა იყოს! მაგრამ ამ რიცხვით კიდევ არ განისაზღვრება მზის სიშორე. ლაპარაკი არ უნდა, უფრო კიდევ ძალზედ შორს და შორს არის.

ჩვენ მაინც ვეცადოთ, ცოტად თუ ბევრად წარმოდგენა მაინც არის ვიქონიოთ ამ ზღაპრულს სიშორეზედ. ვსთქვათ, რკინის გზა არის გაყვანილი მზემდის და მატარებელი მიჰქრის დღე და ღამ შეუსვენებლივ... ამ შიკრიკ მატარებელსაც კი მზემდის სრული 300 წელიწადი მოუნდებოდა მისასვლელად! ეხლა რომ წავიდეს ვინმე იქიდგან მხოლოდ 600 წლის შემდეგ დაბრუნდებოდნენ დედამიწაზედ. ლაპარაკი არ უნდა, ამ საოცნებო მოგზაურობის დროს ათი-თორმეტი ჩამომავლობა დაიბადებოდა! ან კიდევ ვსთქვათ თოფი გაისროლეთ მზის პირდაპირ, ტყვია თვალის დახამხამებაში ვერს გადის... ასე შეუჩერებლივ რომ მიდიოდეს სულ, მაშინ ცხრა წელიწადსა და ცხრა თვეს მოუნდებოდა—თითქმის ათ წელიწადს! ეხლა დაფიქრდით: თუ მზე იმ სიშორედამ ამოდენად გვეჩვენება, მაშ ახლო რამოდენა უნდა იყოს?

გაიგეს რა მეცნიერებმა მზის სიშორე, მერე ადვილად გამოიკვლიეს მისი სიდიდეც. სივრცით მზე ერთი მილიონი და 300 ათას ჯერ დიდია ჩვენს დედამიწაზედ; ანუ, უკეთ რომ ვსთქვათ, საჭიროა 1,300,000 დედამიწის ტოლა ბურთი, რომ ერთი მზე გამოვიდეს. ვეცადოთ კიდევ უფრო უკეთესი შედარება მოვიყვანოთ. ერთ ჯამში ვსთქვათ, ათი-ათასი მარცვალი ხორბალია; ერთს ჩანახში ათჯერ მეტი იქნება, ე. ი. ას-ათასი, ოც და ათს ჩანახში ხომ ოცდა ათ-

---

*) ფლამარიონის თხზულებიდამ: «Pertre Astronómie».

ჯერ მეტი იქნება, ე. ი. 1,300,000. მაშასადამე, წარმოიდგინეთ, რომ ერთს მხარეს სძევს ერთი მარცვალი ხორბლისა, მეორეს კიდევ მთელი ხროვა ხორბლისა,—ოცდა ათი ჩანახი და ასე უთხარით თქვენს თავს: «ეს ხროვა ოცდა ათი ჩანახი ხორბლისა მზე არის და ეს ერთი მარცვალი კი ჩვენი დედა მიწა»!.. აი რამოდენაა დედა-მიწა მზესთან შედარებით. ერთის სიტყვით, დედა მიწა ერთი ბეწვა კენჭია ამოტელა უზარ-მაზარ მზესთან შედარებით. რომ ვსთქვათ, ჩვენი მიწა მოვაკლოთ მზეს, ამითი სრულიად არაფერი არ შეეტყობა მას, ისე, როგორც ერთს ჩანახ ხორბალს ერთი მარცვლის მოკლება.

ამ რიგადვე შეიძლება მზის სიმძიმის გამოანგარიშება. წარმოიდგინეთ გიგანტიური სასწორი ერთს გვერდზედ სძევს მზე, რომ სასწორი გასწორდეს, საჭიროა მეორე გვერდზე 324,000 დედამიწის ტოლა ბურთები დაუდოთ. აი რამოდენაა მზე, რომელიც ძველად ცაში მოცურავე ცეცხლის რგოლი ეგონათ, რომელშიაც ოთხი ცხენიება და დაატარებდნენ. ოთხი ცხენი დაატარებდნენ 1,300,000 ჯერ დედამიწაზედ დიდს ბურთს, მაგრამ სჯობიან თავი ვანებოთ ასეთს ოცნებებს.

ცის მნათობთა გამოსაკვლევ დასანახათ ვარსკვლავთ მრიცხველთ აქვსთ შორს სათვალე, ანუ ჭოგრი, რომლებითაც საგნები ასჯერ და ათასჯერ უფრო დიდები მოსჩანან. ამ ჭოგრებით რომ გასინჯოთ მზე, უპირველეს ყოვლისა შეამჩნევთ, რომ ყველგან თანასწორ ნათელი არ არის. ხშირად აქა-იქ მოსჩანან ხალები, თითქმის შავი ღრუბლები დასცურავენ მზეზედაო.

მაგრამ ეს ხალები, მართლა შავები კი არ არიან. ისინი მხოლოდ უფრო ნაკლებ გამოსცემენ სინათლეს და მკრთალად გვეჩვენებიან. ეს ხალები მრავალ-გვარნი და მრავალ-ნაირნი არიან ხოლმე. მაგრამ რაც გინდა მცირე ხალი იყვეს, ჩვენის დედამიწის ტოლა მაინც იქნება. ზოგჯერ რამდენიმე ხალი სჩანს, ზოგჯერ-კი არც ერთი. სჩანს ამასთანავე, თუ როგორ იზრდებიან, თანდათან დიდდებიან და ბოლოს ჰქრებიან. რამდენადაც დიდია ხალი, იმდენად უფრო დიდხანსა რჩება ხოლმე.

რადგანაც ხალები იცვლიან სახეს და ადგილს, ერთგან გაჩნდებიან და მეორედგან გაჰქრებიან, უნდა ვიგულისხმოთ, რომ ისინი ერთს ადგილს გაჩერებულს კუნძულს ან ხმელეთს არ წარმოადგენენ.

დურბინდში რომ ჩავიხედოთ, მზე მღელვარე ზღვასავით გვეჩვენება. ვხედავთ მასზე მოქანავე უშველებელ ზვირთებს, რომელნიც ერთმანერთს ეხლებიან ზღვის ტალღებსავით ღელვის დროს; მაგრამ ეს ტალღები წყლისა-კი არ არის, არამედ ცეცხლისა. ტყუილი კი არ გეგონოთ, მზეზე ირგვლივ ცეცხლია ვაჩაღებული, ცეცხლი გეენისა, საუკუნო, მუდმივი, ჩაუქრობელი! ყველგან ცეცხლია, საითაც-კი გაიხედავთ:—ცეცხლის ტალღები, ცეცხლის მორევები, სადაც ამასთანავე ცეცხლის ტალღები ისეთის სისწრაფით გადა-გადმოდის, თითქოს ზღვა აღელვებულა და კალაპოტიდამ გადმოვარდნას აპირებსო. ეს ცეცხლი მზის შუაგულიდამ გამოდის, სკდება, ხმას იღებს, ჰქავს, თითქოს აქეთ-იქით იბნევა და ამონავალს ადგილას ჩათხრილი რჩება ადგილი. ამ ჩათხრილ ადგილებს რომ დაუკვირდნენ, აღმოჩნდა, რომ ისინი ბევრით წააგვანან დედამიწის ვულკანებს,—აი ეს ვულკანები გვეჩვენება სწორედ მზის ხალებად.

დიდხნობით რომ დაუკვირდეთ ამ ხალებს, აშკარად შეამჩნევთ, რომ ისინი ხშირად იცვლიან ადგილებს და ერთიდამ მეორეზედ გადადიან. ისინი თითქოს რიგ-რიგით მისდევენ ერთმანეთს. მაგალითად, ვსთქვათ, ერთი ხალი ნაპირას არის, ცოტა ხნის შემდეგ ის ნელ-ნელა შუა გულისაკენ იწევს, მიდის პირდაპირ და შვიდის დღის უკან უკვე მიახწევს შუაგულს; ხალი მერე თან და თან კლებაში წავა და ბოლოს უკვე სრულიად ჰქრება. ორი კვირის შემდეგ იგივე ხალი ხელახლივ ჩნდება და ძველს გზაზედ იწყებს სიარულს ისევ, თუ რამდენიმე ხალია ერთად მოგზაურობენ და არა სცილდებიან ერთმანეთს. ლაპარაკი არ უნდა, მზე დედამიწასავით ირგვლივ ტრიალებს. რომ გავიგოთ, თუ რამდენს ხანს უკან და ირგვლივ შემოიტრიალებს, საჭიროა მხოლოდ ვიცოდეთ, რამდენ ხანს უნდა რომელიმე ხალი უკანვე დაბრუნებას. დიდის ხნის დაკვირვება-გამოკვლევამ აღმოაჩინა, რომ მზე $25^1/_2$ დღეს უნდება ირგვლივ შემოტრიალებას.

ყველა ზემო ნათქვამიდამ ის დასკვნა უნდა გამოვიყვანოთ, რომ მზე ერთს განუსაზღვრელ ბურთს წარმოადგენს, გახურებულს ქურის რკინასავით და მღელვარეს ვით ზღვას. რა აუწერელი სიცხე უნდა ტრიალებდეს ამ გახურებულ გეენის ალთა შუა! ამავ დროს ეს გახურებული ბურთი უგზავნის თავისს სიცხოვლეს გარეშემორტყმულ საგნებს. ჩვენი დედა-მიწა უვლის რა გარშემო მზეს, სხვებთან ერთად იღებს სინათლეს ისე, როგორც ჩვენ გახურებულ ბუხრის წინ. მიწა ისე დაშორებულია მზეზედ, რომ მხოლოდ სულ მცირე ნაწილს ამ სიცხისას იღებს. მაგრამ ეს სიცხე მაინც კიდევ საკმარისია ჩვენთვის. ამაზედ კიდევ ახლო რომ ვიყოთ, მეტის-მეტის სიცხით დავიწვებით და გავსწყდებით. ამაზედ შორს კი რომ ვიყვეთ, მზეც უფრო პატარა გამოჩნდება და, ამასთანავე, უფროც გვეცივება. ამაზედ უფრო ძალზედ დიდ მანძილზედ რომ ვიყოთ დაშორებული, მაშინ ხომ მზეს სრულიადაც ველარ დავინახავდით. იგი გაჰქრებოდა ვარსკვლავთა შორის და ჩვენ ველარ დავინახავდით.

მერე რა მოგვივიდოდა მაშინ? როგორ გავძლებდით უმზეოთ, ამ სინათლისა და სითბოს წყაროს უქონლობას როგორ ავიტანდით? მის წყალობით ჰხდება დედა-მიწაზედ დღე და ღამე, წვიმა, ამინდი; მას ამოჰყავს მცენარეები, ახარებს ხეხილებს, ის აღნობს თოვლებს და სიცოცხლეს უბრუნებს ზამთარში გაყინულს მთა-მინდორს. უიმისოთ ჩვენს დედამიწაზედ გამუდმებული სიცოცხლის მომშხამავი სიბნელე იქმნებოდა; მაშინვე სამარებრივი სიცივე შეგვიპყრობდა. ყველაფერი გაწყდებოდა: ცხოველებიც, მცენარეულიც და თვით ჩვენც, რადგანაც უსინათლოდ და უსითბოდ არაფერს არ შეუძლიან არსებობა. დედამიწა გადიქცევოდა გაყინულ თვალგადუწვდენელ უდაბნოდ და სამარებრივ ძილს მიეცემოდა.

შ. ფრონელი

* * *

წვრილი ამბავი

ახირებული შემთხვევა საავადმყოფოში. ლონდონის ერთს საავადმყოფოში ერთსა და იმავე დროს მოუყვანიათ სახადით ავადმყოფი ორი ბავშვი. სამი ოთხის დღის შემდეგ ერთის მშობლებს მ—ს აცნობეს თქვენი შვილი მძიმე ავადმყოფია და ინახულეთო. მოვიდნენ მშობლები და თავში ხელი იცეს, როგორ გამოცვლილა ჩვენი შვილიო! მეორე დღეს ეგ ბავშვი მოკვდა, კიდეც და იმავე მშობლებმა დაასაფლავეს. ორი კვირის შემდეგ მეორე ბავშვი სრულებით გამორჩა და აცნობეს ნ—ს გაიყვანეთ თქვენ ბავშვი სამკურნალოდამო. მოვიდა ნ—ი და მისს გაკვირვებას საზღვარი არა ჰქონდა; რას მეუბნებით, ეგ ჩემი შვილი არ არისო!. თურმე, ნუ იტყვით, სამკურნალოს გამგეობას შეუცვლიათ ავადმყოფების გვარები და შეცდომით დაუბარებიათ ერთი მეორეს მაგივრად. ამ ნაირად მ—ს სხვისი შვილი დაუსაფლავებია და ნ—ს კიდევ სხვისი შვილის გამორჩენა ახარეს.

◆

თეატრი და გასართობი

დღეს, 29 იანვარს,

სათავად-აზნაურო თეატრი. ქართული წარმოდგენა „პირუტყვთა მფარველ საზოგადოების“ საავადმყოფოს სასარგებლოდ—„რაც გინახავს ველარ ნახავ“ და „ატუკანტი მელაძე“.

სახელმწიფო თეატრი. ოპერა. არტისტ-ქალის შტრეიხერის მონაწილეობით—„ფაუსტი“.

განცხადებანი

მ. გ. ჯანაშვილის

შედგენილი ანუ გამოცემული წიგნები

		კ.
ა.	საქართველოს ისტორია	70
ბ.	საქართვ. საეკლ. ისტორია	45
გ.	მართლმადიდ. ეკლესიის ისტორია	40
დ.	საუნჯე მეათე საუკუნისა	20
ე.	ალვადგინე	30
ვ.	მწერლობა მეათე საუკუნისა	40
ზ.	მოსე ხონელი და მისი ამირან-დარეჯანიანი	10
ჱ.	შოთა რუსთაველი	40
თ.	ფარსადან გორგიჯანიძე და მისნი შრომანი	40
ი.	ათას ერთი ღამე (თარგმანი)	40
ია.	სამცხე (გეოგ. აღწერა ვახუშტისა)	20
იბ.	ქართლი (მისივე)	25
იგ.	ბამბა და მისი მოყვანა	15
იდ.	ერეკლე მეფის სახსოვარი («ცნ. ფურც.» გამოცემა).	

წიგნები გ, ჱ, ია და იბ მთავრობისაგან მოწონებულია სახმარად და სახელმძღვანელოდ სამრევლო სკოლებისათვის.

საქართველოს საეკლესიო ისტორია მზადდება მეორე გამოცემად

(10—3)

Открыта подписка

на изданіе подъ названіемъ

„ИСТОРІЯ РОССІИ“,

имѣющее выйти въ 24-томахъ, изъ коихъ въ составъ первыхъ 12-ти войдетъ полностью (безъ примѣчаній) «Исторія Государства Россійскаго» Н. М. Карамзина, остальные же 12 томовъ будутъ служить этому труду продолженіемъ.

Появленіе новаго, предпринятаго нами нынѣ, изданія «Исторіи Государства Россійскаго» Карамзина не нуждается, по нашему мнѣнію, въ какомъ либо оправданіи. Достоинства, которыми отличается это замѣчательное сочиненіе, говорятъ сами за себя, а громкая, вполнѣ заслуженная имъ извѣстность даетъ ему право на самое широкое распространеніе.

Другое дѣло—вторая половина нашего изданія, имѣющая цѣлью изложеніе дальнѣйшихъ событій русской исторіи почти до нашихъ дней и потому представляющая собою какъ бы продолженіе названнаго труда Карамзина. Считаемъ необходимымъ, однако, оговориться, что, разумѣется, связь между этими двумя частями нашего изданія можетъ быть только внѣшняя, такъ какъ для продолженія, въ буквальномъ смыслѣ, сочиненія знаменитаго историка надо быть вторымъ Карамзинымъ. Предлагая же публикѣ два названныхъ труда, какъ нѣчто цѣлое, мы руководились слѣдующими соображеніями. Какъ извѣстно, Карамзинъ не окончилъ, къ сожалѣнію, своей «Исторіи Государства Россійскаго“—доведенная имъ до послѣднихъ лѣтъ смутнаго времени на руси, она обрывается, такъ сказать, на полусловѣ. Такимъ образомъ, наиболѣе интересный періодъ русской исторіи, именно XVII, XVIII и XIX столѣтія, остался малоизвѣстнымъ большинству читающей публикѣ, и общаго, подобно Карамзинскому, труда, который содержалъ бы популярное изложеніе событій этихъ трехъ вѣковъ, въ русской литературѣ донынѣ не имѣется, если не считать таковыми школьные учебники и университетскіе курсы исторіи, преслѣдующіе свои спеціальныя задачи. Что касается сочиненій извѣстныхъ позднѣйшихъ историковъ (напр., Соловьева, Костомарова и друг.), въ которыхъ изложена значительная часть указанныхъ событій, то они, при всѣхъ своихъ несомнѣнныхъ достоинствахъ, представляется, однако, малодоступными читающей массѣ—одни по своему ученому изложенію, другіе по своей высокой цѣнѣ и т. п. Наконецъ, историческія монографіи, а также историческіе романы и повѣсти нельзя даже принимать во вниманіе, какъ совершенно непригодные для вышеупомянутой цѣли.

Между тѣмъ потребность въ знаніи нашего историческаго за послѣдніе вѣка развитія все болѣе и болѣе усиливается, и потому распространеніе такого знанія путемъ популярнаго изложенія этого развитія слѣдуетъ признать весьма желательнымъ

Идя на встрѣчу этой потребности, мы и намѣрены дать въ послѣднихъ 12-ти томахъ нашего изданія обстоятельный обзоръ всѣхъ событій, имѣвшихъ мѣсто въ жизни Россіи въ періодъ отъ смутнаго времени до восшествія на престолъ Императора Александра III, въ ясномъ общепонятномъ изложеніи, основанномъ на обширной цѣнной литературѣ, которою располагаетъ нынѣ русская исторіографія. При этомъ мы сдѣлали наше изданіе общедоступнымъ и по его крайне невысокой цѣнѣ. Каждый томъ будетъ заключать въ себѣ 15 печ. лист., формата in 8°, всѣ же 24 тома составятъ до 400 печ. лист. или болѣе 6,000 страницъ.

Подписная цѣна: безъ доставки **4 р. 50 к.**, съ доставкою и пересылкою **6** р.—Допускается разсрочка: при подпискѣ—**2** р.—по полученіи 6-го тома—**2** р. и по полученіи 12-го тома **2** р.—По выходѣ 8-го тома подписная цѣна будетъ повышена.

Вышли изъ печати первые 4 тома и высылаются подписчикамъ немедленно; слѣдующіе печатаются и будутъ разсылаться по мѣрѣ выхода.

Пріемъ подписки производится въ конторѣ изданія (С.-Петербургъ, Литейный проспектъ, д. 33, кв. 13) ежедневго отъ 10 до 4 час. дня.

(12—3) Издатель **В. Максимовъ.**

Открыта подписка на 1898 годъ

(второй годъ изданія)

на еженедѣльный иллюстрированный журналъ

„ТЕАТРЪ и ИСКУССТВО“

Въ 1897 году помѣщены были въ журналѣ произведенія слѣдующихъ лицъ: Авсѣенко В. Г., Александрова Н. А., Амфитеатрова А. В., Арбенина Н. Ф. Бастунова Э. Д., Бентовина Б. И., Генкена В. Г., Гнѣдича П. П., Далматова В. П., Дѣянова А. И., Карнѣева М. В., Карпова Е. П., Кнорозовскаго И. М., Кояловича М. М., Кравченко Н. И., Кугеля А. Р., Ленскаго Ал. П., Немировича-Данченко Вл. И., Плещеева А. А., Потапенко И. Н., Преображенскаго В. П., проф. Сакетти Л. А., Тихонова В. А., Федорова М. П., Фруга С. Г., Южнаго М. Г., Ясинскаго I. I. и др.

Кромѣ названныхъ лицъ обѣщано сотрудничество:

Вейнберга П. И., Голицына кн. Д. П. (Муравлина), Немировича-Данченко Вас. И., Сафонова С. А., проф. Соловьева Н. Ф. и нѣк. др.

Статьи по общественнымъ вопросамъ и теоріи искусствъ, театра и литературы. Фельетоны, Критическіе этюды. Беллетристика. Обширныя корреспонденціи.

Свыше 500 иллюстрацій, портретовъ, нотныя приложенія и т. п.

За годъ изящный томъ на хорошей бумагѣ

Свыше 1000 страницъ и сверхъ того

не менѣе 15 пьесъ, отдѣльными приложеніями, стоющихъ 20—25 р.

Въ 1897 г. даны, между прочимъ слѣдующія пьесы, имѣвшія шумный успѣхъ: „Трильби“, „Катастрофа“, „Наканунѣ“, „Водоворотъ“, „Влюбленная“, „Вѣра Иртеньева“, „Трудовой день“, «Волшебная сказка» и другіе.

Изданіе особенно рекомендуетъ любительскимъ кружкамъ, библіотекамъ, общественнымъ собраніямъ, клубамъ и кабинетамъ для чтенія.

Подписная цѣна за годъ съ доставкою 6 р.
„ „ „ полгода „ 4 р.

Допускается разсрочка при подпискѣ 2 р. и по 2 р. 1-го Марта и 1-го Іюня.

Адресъ редакціи и конторы: *С.-Петербургъ, Моховая, 45.*

Редакторъ **А. Р. Кугель.** Издательница **З. В. Тимоѳеева (Холмская).**

(5—1)

Дозволено цензурою. Тифлисъ, 28-го Января, 1898 г. სტამბა ქქ. ი. ხელაძისა, ლორის-მელიქოვის ქ., № 28. რედაქტორ-გამომცემელი ვალ. გუნია